1979

პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით.

ლიტერატურული საქართველო

6 მარტი, 1940 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | № 7 (130) ფასი 30 კაპ.

F 76 N 166

გეგმიანი მუშაობისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს პრეზიდიუმის მუშაობა, რაც დრო გადის, უფრო გეგმიან, ოპერატიულ ხასიათს ღებულობს, ყველაზე მეტად ეს გეგმიანობა და ოპერატიულობა გამოჩნდა გასული წლების დიდი პოლიტიკური და ლიტერატურული თარიღების მომზადებისა და ჩატარების დროს.

წინასწარ გამომუშავებული გეგმით და ამ გეგმის განსახორციელებლად მიღებული ღონისძიებებით აიხსნება ის, რომ ამ თარიღებთან დაკავშირებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ წარუშლელი კვალი გაიარა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, დაუტოვა რა ჩვენი ლიტერატურის ფონდს მასებისათვის საყვარელი არა ერთი და ორი ნაწარმოები. ლიტერატურული თარიღების აღსანიშნავად გაწლილმა შემოქმედებითმა აქტივობამ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მოგვცა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, მეცნიერული ნარკვევი და კრიტიკული ნაშრომი „ვეფხის-ტყაოსანზე“, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე; მოგვცა აუშკინის, ტარას შევჩენკოს, ჯამბულის, „იგორის ლაშქრობის“, ნეკრასოვის, სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნელის“, კოსტა ხეთაგუროვის ქართული თარგმანები, რომელთა კოლტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა განუზომელია იმ მხრივ, რომ ისინი აცნობენენ რა ქართველ ხალხს მომქმე ერების დიდ კულტურულ განძს, სულიერად აახლოვებენენ ქართველ ხალხს ჩვენი დიდი სამშობლოს ეროვნებთან, აძლიერებენ ხალხთა სტალინურ მეგობრობას. ამჟამადაც, წინასწარ გამომუშავებული გეგმით, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს მაიაკოვსკის, აკაკი წერეთლის, ლერმონტოვის, ნავოის, ნიზამის, „ჯანგარის“ იუბილეების ჩასატარებლად. ეს მუშაობა სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ თარიღებს ქართველი საბჭოთა მწერლები ღირსეულად შეხვდებიან და აღნიშნავენ.

განსაკუთრებით დიდი აქტივობა, გეგმიანობა და ოპერატიულობა გამოიჩინა ჩვენი კავშირის პრეზიდიუმმა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** დაბადების სამიოცი წლისთავისათვის მზადების დროს. პრეზიდიუმის მოწვლილი ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად ქართველმა მწერლებმა საბჭოთა ხალხს მისცეს ბელადისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებთა კრებული, რომელიც მკითხველ მასებში აშვიათი პოპულარობით სარგებლობს.

გეგმიანი მუშაობის ეს წარმატება ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: საჭიროა ეს გეგმიანობა შეტანილ იქნას მწერალთა კავშირის მთელს საქმიანობაში. იგი უნდა გადაიქცეს სისტემად და არ წარმოდგენდეს გამონაკლისს მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როცა საჭიროდ ხდება რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის რამდენიმე ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მუშაობა სხვა ხასიათიც გეგმიან კალაპოტში დგება. მაგალითად, უკვე შედგენილი და დამტკიცებულია თავდაცვითი კომისიის მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მწერალთა სამხედრო მომზადებას და მათ სამხედრო კვალიფიკაციის ამაღლებას. დამუშავებულია მთელი პროგრამა ლექციებისა, რომლებიც წაკითხულ უნდა იქნას „სა კავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ შესასწავლად, ამ კურსის გავლით შეძენილი ცოდნის გასაღრმავებლად, საერთოდ მწერალთა იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. იმ მიზნით, რომ ეს გეგმები და პროგრამები ქაღალდზე არ დარჩეს, გამოყოფილ იქნენ კონკრეტული პირები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის.

მაგრამ ამ გასანდიდელი პროექტებთან ერთად ჩვენ გვაქვს უკეე განადგენილი გეგმები. მაგალითად, მწერალთა მეორე ყრილობამ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის გაძლიერება. ამ დარეკვის განმახორციელებელ ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას წარმოადგენდა ახლახან დასრულებული ახალგაზრდა მწერლების კურს-კონფერენცია. ჩვენი საბჭოთა მწერლობისა და მეცნიერების თვალსაჩინო ძალების აქტიური მონაწილეობით, ფართო და მრავალმხრივი პროგრამით მოწყობილმა ამ კონფერენციამ ძლიერი ბიძგი მისცა ახალგაზრდა მწერლების სერიოზულ მუშაობას თავის-თავზე, გააფართოვა მათი გონებრივი ჰორიზონტი, აამაღლა კულტურული დონე, გაუღვიძა ინტერესი კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის, შემოქმედებითი პრობლემების, ხელოვნების სხვადა სხვა დარგის შესწავლისადმი, გააცნო ცნობილი მწერალთა გამოცდილებას და შემოქმედებითს პრაქტიკას. ეს პირველი ცდა უეჭველად ნაყოფიერი აღმოჩნდა და იგი უნდა განმეორდეს.

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გეგმიანი მუშაობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ იგი ამთავითვე შეუდგა სამზადისს საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავისათვის. ახალი არ ის არის, რომ პრეზიდიუმი ამ სამზადისს უფარდებს ცალკე მწერალთა უახლოეს შემოქმედებითს განზრახვებს, მათ უახლოეს სამუშაო გეგმებს. დასახა რა საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავისათვის დასაწერ ნაწარმოებთა თემები, პრეზიდიუმმა მათზე სამუშაოდ მოუწოდა ჩვენს ცნობილ მწერლებს. უფრო მეტი: პრეზიდიუმის ინიციატივით რამდენიმე მწერალისათვის იქმნება პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მწერალთა შეუფერხებელ მუშაობას მათ მიერვე არჩეულ თემებზე.

პრეზიდიუმის ეს ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელი და მოსაწონია. ჩვენი ორგანიზაციის ყოველი წევრი აღტაცებით შეხვდება იმას, თუ ასეთი თაოსნობა სისტემის ხასიათს მიიღებს პრეზიდიუმის მუშაობის პრაქტიკაში.

მწერალთა კავშირის წევრებას დიდი უმრავლესობის სურვილია, რომ შემოქმედებითი დაკვეთები მიეცეს არა მარტო პოეზიისა და პროზის, არამედ ყველა ჟანრის მწერლებს. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ახლოველობაში უნდა მიიღოს ეს გარემობა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთის მხრივ, თუ რას მოითხოვს საბჭოთა მკითხველი ლიტერატურის ყველა ჟანრისაგან, მეორეს მხრივ, უნდა ვიცოდეთ, თუ რა ძალას წარმოადგენს მწერალთა კავშირის ესა თუ ის წევრი, რისი გაკეთება შეუძლიან მას მკითხველის მოთხოვნისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ არი გარემოების ცოდნა აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ პრეზიდიუმმა შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს მწერალთა შემოქმედებითს მუშაობას. არც ერთი მწერლის შესაძლებლობა, თუ იგი ნამდვილ შემოქმედებითს ძალას წარმოადგენს, გამოუმეღავნებელი არ უნდა დარჩეს. ჩვენს პირობებში მწერალმა უნდა მოგვცეს მაქსიმები იმისა, რისი მოცემაც მას შეუძლია. სწორედ ამისთვის არსებობს მწერალთა კავშირი და მასში შემავალი ყველა ლიტერატურული ორგანიზაცია. ჩვენი კავშირის სექციები პრეზიდიუმის ერთ მთავარ დასაყრდენ ორგანიზაციებს უნდა წარმოადგენდნენ. სექციები არა მარტო გამოქვეყნებულ წიგნებს და დასაბეჭდად გამზადებულ ხელნაწერებს უნდა არჩევდნენ, არამედ იმასაც უნდა არკვევდნენ და სწავლობდნენ, თუ რა შემოქმედებითი განზრახვები აქვთ მათ წევრებს, რა თემებზე სურთ მათ მუშაობა, რას საჭიროებენ ისინი იმისათვის, რომ დასამუშავებლად განზრახული თემები ლიტერატურულ ფაქტებად იქცნენ. პირველ ყოვლისა, ჯერ თვით სექციები, ხოლო ამ ორგანიზაციებიდან ეს ინიციატივა ადგილობრივ ორგანიზაციებზე, ანუ ეროვნულ ენებზე ორიენტირებულ

ვანდა ვასილევსკაია

მშრომელთა საქმისათვის მებრძოლის, მწერალ-რევოლუციონერის ვანდა ვასილევსკაიას სახელი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში. იგი საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც საბჭოთა მწერალი შემოვიდა ჯერ კიდევ პანების პოლონეთის დაშლამდე, მანამდე სანამ, დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია შემოუერთდებოდა საბჭოთა კავშირს.

ვანდა ვასილევსკაიას მხატვრული ნაწარმოებები გვიჩვენებენ პანების პოლონეთის ნამდვილ სახეს, სადაც მშრომელი ხალხი განიცდიდა სასტიკ ჩაგრასა და შეურაცხყოფას, უუფლებობას და დამცირებას.

ვანდა ვასილევსკაია თავის ნაწარმოებებში არაფერს არ იგონებს, იგი გამოხატავს ცხოვრებას, რომელიც მისთვის ახლობელი და ნაცნობია. დაწყებული მისი ნაწარმოებების ძირითადი სახეებით და გათავებული ყოფითი დეტალებით, ფსიქოლოგიით, ზნე-ჩვეულებით, — ყველგან ცოცხალი სინამდვილე მოსჩანს. მისი რომანების გმირებს თითქმის ყველას ცხოვრებაში ჰყავს პროტოტიპი. „წიგნი ჩემთვის ყოველთვის იყო ბრძოლის იარაღი და არა თვითმიზანი, — ამბობს მწერალი ქალი, —მე ვეღებულობდი მონაწილეობას კრაკოვის მშრომელთ მუშათა გაფიცვებში, ვიბრძოდი მათთან ერთად, გამოვდიოდი მიტინგებზე. მე ვგრძნობდი მოთხოვნილებას, რომ გადმომეცა ყოველივე, რაც ვნახე და განვიცადე ჩვენი ქვეყნის მოწინავე, პატიოსან ადამიანებთან ერთად. ასე დაიბადა ჩემი პირველი წიგნი „დღის სახე“, არც ერთი ადამიანი, აღწერილი ჩემს წიგნებში, არ არის გამოგონილი. მე ვიცნობ ყველას. შემძლიან დავასახელო გვარები. მე მინდოდა მეჩვენებინა ადამიანების ცხოვრება, მათი ბრძოლა და სიკეთილი, მე არ მინდოდა, რომ ყოველივე ეს მათთან ერთად დაღუპულიყო.“

ვანდა ვასილევსკაიას პირველი წიგნები — „დღის სახე“, „სამშობლო“, „მიწა ტყეეობაში“ არსებითად დაწერილია ერთს და იმავე თემაზე. ამ წიგნებში ჩვენ ვხედავთ ხალხს საშინელ მდგომარეობას პანების პოლონეთში, დაციერებასა და დაიერნეს სისტემას, რომელსაც განიცდიდნენ მშრომელები ხელისუფლების, მემამულეებისა და ეკლესიის მხრიდან. მწერალ ქალი მოგვითხრობს მუშებისა და გლეხების ბრძოლაზე ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ, სტიქიურ მასობრივ გამოსვლებზე, რაც თავისი არსებობის მთელი ოცი წლის მანძილზე არყოფილა პოლონეთის ყოფილ სახელმწიფოს.

ვანდა ვასილევსკაიას პირველ რომანში—„დღის სახე“ მოცემულია ცალკეული ეპიზოდები პოლონეთის ქალაქის ღარიბი ხალხის ცხოვრებიდან. ვ. ვასილევსკაია შესანიშნავად იცნობს იმ წრეს, რომლის შესახებაც მოგვითხრობს. თავის წიგნში იგი გვიხატავს სინამდვილის სამწუხარო სურათს, დაუნდობელ ექსპლოატაციას და გაჭირვებულ ცხოვრებას პოლონელი პროლეტარებისა და ხელოსნებისას. მაგრამ მოთმინების ფიალა ივსება. მუშათა წრიდან გამოდიან თავდადებული, ენერგიული მებრძოლები. ასე ყალიბდება ფიგურა შეგნებული ახალგაზრდა მშრომელი მუშის ანატოლისა და მისი მეგობრის, თამბაქოს ფაბრიკის მუშაქალის ნატალკასი, რომლებიც რაზმავენ მშრომელ ხალხს ექსპლოატაციისა და ჩაგრის რეჟიმის წინააღმდეგ.

„დღის სახე“ დამაჯერებლად გვიჩვენებს მუშათა კლასის ახალი შეგნების ფორმირებას. ანატოლის სახით ნაჩვენებია პოლონელი მუშა, რომელსაც ესმის იმის აუცილებლობა, რომ უნდა დაინგრეს ძირფესვიანად ის რეჟიმი, რომელიც შექმნა პოლონელმა „ზლიახტამ“.

ვანდა ვასილევსკაიას მეორე რომანი „სამშობლო“ მიძღვნილია პოლონელი მუშების უფრო ჩამორჩენილ, უფრო უუფლებო ნაწილისადმი — მოჯამაგირეებისადმი, რომელთაც მუშაობა მემამულეთა სამფლობელოებში უხდებოდათ.

ავტორი თხრობას იწყებს შორიდან, იმ დროიდან, როდესაც მოჯამაგირეები ურიგდებოდნენ იმ ფაქტს, რომ დიდი განსხვავება არ არის მჭიდროდ დასახლებულ ბარაკსა, რომელშიაც ცხოვრობენ მუშები, და ოთხფეხი ცხოველების საცხოვრებელ შორის. მაგრამ აქ, ასეთ მძიმე გარემოცვაში ყალიბდება ის აზრი, რომ დაუდგება დასასრული მებატონეებს და შეიცვლება მოჯამაგირის მდგომარეობა.

„სამშობლო“ არის რომანი იმ ერაცელ და რთული გზის შესახებ, რომელიც განვლეს პოლონელმა მოჯამაგირეებმა, რომლებმაც ჯარიელად თავიანთ სიცოცხლეში მოაწყეს გაფიცვა 1905 წელს, როდესაც მოითხოვდნენ ადამიანური არსებობის ელემენტარულ პირობებს. გადის წლები. იწყება იმპერიალისტური ომი. რუსეთში ხდება რევოლუცია. ანტანტის დახმარებით ყალიბდება პოლონეთის სახელმწიფო. მასები რწმუნდებიან, რომ პოლონეთის სახელმწიფოში ხალხი ისევ საშინელ პირობებშია. როგორც მოჯამაგირე კრიეისიაკი ამბობს, მშრომელებს „სხვა ბიძიებისათვის გამოჰქონდათ ეცეტლიდან თავიანთი ტიტველი ხელით კარტოფილი“.

სოფლებში იწყება ეანდარმთა ეგზეკუციები. მოჯამაგირეებს მათრახებით ზურგი აუჭრელეს. მემამულეებმა უფრო მეტად დაუწყეს დამცირება და დაცინვა ხალხს. მოჯამაგირე კრიეისიაკი გრძნობს, რომ მის ცხოვრებაში ფაქტიურად არაფერი არ შეცვლილა, დარჩა იგივე მდგომარეობა, რაც წინად იყო. „სამშობლო იყო საშინელი დღე, მმართველის შემოყვრება, მათრახი, რომელიც შეუჩერებლად მოძრაობდა. კართოფილის ნაფცქვნებიდან ამზადებდა ხალხი წვნს. დამპალ თივაზე ეძინა ხალხს“. და მოჯამაგირე, აჯამებს რა თავისი ოცდაათიანი წლის ცხოვრების პერიოდს მემამულის სამფლობელოში, თავის თავს ასეთ კითხვას უსვამს: ხომ არ მატყუებენ იგი, მხედველობიდან ხომ არ გამოპარა მას შესაფერი წუთი, როდესაც საჭირო იყო სხვანაირად დაეწყო საქმე?“.

რევოლუციური აღმავლობის წლებს უქმად არ ჩაუვლია. „მებატონეთა სამრძანებლოებსა და მოჯამაგირეებს შორის თანდათან ღვივდებოდა სიძულვილის ნაპერწკალი“. სოფლის პროლეტარები, ღარიბი გლეხები, საერთო უბედურებით და მდგომარეობით გაწამებნი“, იწყებდნენ ბრძოლას საერთო მტრის — მემამულეების წინააღმდეგ.

იმ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელიც სწარმოებდა განუწყვეტლივ პოლონეთში გლეხობასა და მემამულეებს შორის, მოგვითხრობს მწერალი ქალი თავის მეორე წიგნში, რომლის სათაურიც არის „მიწა ტყეეობაში“. ავტორმა ამ რომანში გვიჩვენა პოლონეთისათვის ტიპიური რაიონი, რომელშიც, როგორც ბატონყმობის დროს, ბატონობს მემამულე.

გრაფი ოსტროუნსკი „ობობაა, რომელიც თავის ქსელს ყველგან აბამს, რომელსაც მიუსაკუთრებია ბუნების მთელი სიკეთე — საუკეთესო, ნაყოფიერი მიწები, სამოვრები და ტყეები. უფრო მეტი: გლეხებს აკრძალული აქვთ ითვეზაონ სოფლის მახლობლად არსებულ ტბებში და მდინარეებში, მოჭერფონ ხილი ტყეში და ისარგებლონ ხეირიანი სავალი გზით, რადგან ყველაფერი ეს ეკუთვნის მემამულეს.

რომანში დახატულია შემაძრწუნებელი სურათი მემამულეთა თვითნებობისა. გრაფის ტყის მცველებმა სრულიად უდანაშაულოდ მოჰკლეს ახალგაზრდა გლეხი სტეფანე, რომელმაც გაბედა და იბანავა მემამულის ტბაში. გლეხი რადზიუკი, რომელიც შიმშილმა აიძულა დაეწყო ნადირობა ტყეში, მემამულის ბრძანებით გაწყვეტეს, — ორასჯერ დაარტყეს წკეპლა და გასისხლიანებულმა ძლივს მიაღწია თავის სახლამდე.

როდესაც მემამულემ მიმართა რადზიუკს, თვით ამორჩია სასამართლო ან „ადგილობრივი სასჯელი“, მან ამჯობინა მოეხდინა დამამცირებელი სასჯელი მემამულისაგან, ვიდრე წასულიყო პოლონურ სასამართლოში, სადაც მას მეტი უბედურობა მოელოდა.

გლეხ სტეფანეს ვერაგული მკვლელობა დაუსჯელი დარჩა. გლეხები ყველგან და ყველაფერში, ყოველდღიურად რწმუნდებოდნენ, რომ ხელისუფალნი ყოველთვის მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ, რომ „ზლიახტების“ მმთავრობისაგან მხოლოდ ჩაგრას და უბედურებას უნდა მოელოდეს ხალხი.

პოლონეთის სოფლებში თანდათან ძლიერდებოდა უუფლებო გლეხების სიძულვილი მემამულეთადმი, ხელისუფლებისადმი. გლეხობა იწყებს აქტიურ ბრძოლას. რომანიდან ვტყობილობთ, რომ გლეხებმა არაერთხელ გადასწვეს ვრაფის ტყე, გაჩეხეს ბაღში ხეები, გამოუშვეს მემამულის ტბიდან შლეზუბის მეშვეობით თევზები და სხვ. გლეხები სტიქიურად გამოვიდნენ და სწვავდნენ მემამულეთა სასახლეებს.

ვანდა ვასილევსკაიას უკანასკნელი ნაწარმოება — „ალი ჭაობზე“ წარმოადგენს ბუნებრივ გაგრძელებას რომანის „მიწა ულელში“. მასში ნაჩვენებია გლეხთა მასების გარევოლუციონერების პროცესი, მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი ყოფილ პოლონეთის სახელმწიფოში. რომანის მოქმედება გაშლილია პოლესიეში, დასავლეთ უკრაინის გლეხთა შორის, რომელნიც მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ პოლონელი პანების უღელქვეშ. ამგვარად, ვანდა ვასილევსკაიას ამ ახალ ნაწარმოებში გლეხების ჩაგვრის თემა დაკავშირებულია ნაციონალური ჩაგვრის თემასთან.

„ალი ჭაობზე“ იწყება პოლესიის სოფელ ოლშინის ბუნებისა და გლეხობის ცხოვრების აღწერით. გლეხობის ცხოვრება საშინელი და აუტანელია. მათ პურიც კი არ გააჩნიათ საარსებოთ. მემამულეები დაუზოგავად ავიწროებდნენ გლეხებს, ტყეში ნაფოტების მოგროვების ნებასაც კი არ აძლევდნენ.

ვ. ვასილევსკაიას ამ რომანში ჩვენ ვხედავთ ორ სამყაროს, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ერთია — ქვეყანა დაჩაგრული, დამცირებული, უუფლებო გლეხობისა, რომელიც თანდათან გამოფხიზლების გზაზე დგება, ხოლო მეორე ქვეყანა წარმოდგენილია ვაჭარ ვოლკის, სპეკულიანტისა და ექსპლოატატორის, ყოფილი მემამულის პოლოსკოის, პოლიციელის, მემამულე ზორკოინიკის სახით, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიმკაცრე, ველურობა, ბატონობა, მტრობა ხალხისადმი.

ეს წიგნი დაწერილია ვანდა ვასილევსკაიასათვის დამახასიათებელი რეალისტური თვალსაზრისით, მისთვის დამახასიათებელი ღრმა მისალმით ცხოვრებასთან. შეიძლება ითქვას, რომ კლასობრივი შეურიგებლობა, რომლითაც გამსჭვალულია ვანდა ვასილევსკაიას ყველა წიგნი, ამ უკანასკნელ ნაწარმოებში განსაკუთრებით მკვეთრად არის წარმოდგენილი.

მწერალი ქალი განაგრძობს მუშაობას თავისი რომანის „ალი ჭაობზე“-ს მეორე წიგნზე. მასში გამოხატული იქნება გმირული წითელი არმიის მიერ პოლონელი პანებისაგან განთავისუფლებული პოლესიე.

ს. ჩარგეიანი



ორი სონეტი

ვალერიან გაფრინდაშვილი

მიხეილ ლერმონტოვს

დეკაბრისტების შენ განაგრძე გზა ბნელ ღამეში.
ლექსი პუშკინზე ეშმარიტი იყო გასროლა.
ახალგაზრდობამ აგირჩია შენ წინამძღოლად —
გბაძავდა იგი თავის ამაყ სითამამეში.

თითქოს გიყვარდა შავ უფსკრულის თავზე თამაში.
და მეფეებთან ზზად იყავი მუდამ საბრძოლად.
შენ მაშუყისქვეშ მოყიდულმა ტყვიამ ჩაგვლო
და განისვენე მაღალ მთების ცივ აკლდამაში.

შენს სიმღერებში ახლაც ისმის ძალა ხალხისა
და ხშირად ვეატკბობს ჰარმონია მსრბოლავ ტალღისა.
ერთი წუთითაც ავ ჯალათებს არ დავიმონე.

ვით მეამბოხე დღესაც გიყვარს შენი დემონი.
შენს რკინის ლექსებს ჩვენ ვკითხულობთ, როგორც თქმულებას,
და შენს ტმირებში ამირანი ჩვენ გვეგულება!

უშანგი ჩხეიძე.

იგი ჰრინც ჰამლეტს თამაშობდა კეთილშობილად.
მამის აჩრდილთან არ უჭირდა მას ლაპარაკი.
მაგრამ ამ როლის მოთამაშე განა ყოფილა,
მოწყენილობის რომ არ გახდეს იგი ზვარაკი?

მსოფლიო სცენა აღიარა თავის დობილად.
„ყოფნა, არყოფნის“ მან წარმოსთქვა ძველი არაკი.
სწრაფ გაიელვა საზარელი ჩენჩის პროფილით
და კულისების მობინდარე გახდა მარადი.

ნუ თუ უშანგი არ გამოვა კიდევ სცენაზე?
ნუ თუ თავის ხმას ორფეოსი არ გაგვაგონებს?
თვითეულ ჩვენგანს ეს მოელვარე ფიქრი გვაღონებს.

თავის ოცნების საიდუმლო გადარბენაზე
უშანგი არის მძლავრ გმირობის გამომსახველი,
და ჩვენთან მოდის საკაძის დიდი სახელით.

მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

25 ოქტომბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. პრეზიდიუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

მხატვრული კრებულის გამოცემა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული კრებულის მოსამზადებლად გამოყოფილ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, შ. რადიანი და დ. ბენაშვილი. კომისიას დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს წარმოდგენილი მასალის განხილვას და დეკემბრის პირველ რიცხვებში გადასცეს სტამბას დასაბეჭდად.

კრებული გამოცემული იქნება მხატვრულად და მასში მოთავსდება მხოლოდ ახალი, დაუბეჭდავი მასალა.

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი თვითთანგარიში

მოსმენილ იქნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებითი თვითთანგარიში. კ. ლორთქიფანიძე კარგა ხანია მუშაობს თავისი რომანის „იმერეთის“ მეორე წიგნზე. რომანის ეს წიგნი შეეხება საკოლმეურნეო მშენებლობის აღმავლობის წლებს. წიგნი მზად იქნება დეკემბრის დასასრულს.

ლ. ჯოლსოფის გაჩრდილვების 30 წლისთავის აღსანიშნავად

ნოემბერში სრულდება ლ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავი. პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია გ. ქიქოძის (თავმჯდომარე), ლ. ქიაჩელი და ს. ეულის შემადგენლობით, ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნისა-თვის დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი.

გიორგი ლეონიძე

გ. ნატროშვილი

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის რთული ვითარების ფონზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გიორგი ლეონიძის ოპტიმისტურ, ღრმა შემოქმედებითი ფანტაზიით აღსავსე პოეზიას. „არსებობს ორგვარი ენტუზიაზმი, — სწერდა დიდრო: — ენტუზიაზმი სულისა და ენტუზიაზმი ოსტატობისა. პირველის გარეშე იდეა უფიქრელია, უმეორისოდ შესრულება სუსტია. ხოლო მათი შერწყმა დიდ ელფერს აძლევს ნაწარმოებს“. ეს დიდი ელფერი, რომელსაც იძლევა მეფლვარე პათოსის შერეთება მაღალ ოსტატობასთან, არის თვისება ლეონიძის პოეზიისა, რომელიც მკითხველს პირველივე წუთს თვალში ეცემა. ეს არის პოეზია, გამსჭვალული აზრის სიღრმით და ვრძნობის სისაღსით. ლეონიძის ლექსში ისმის მძლავრი, თავისუფალი და ღონიერი სუნთქვა სიცოცხლისა, ცოცხალი ბუნებისა, ცოცხალი მიწისა. ჟრეთ ბუნებაში ეს სიცოცხლე მრავალფეროვანია და მრავალმიანი. ის ლექსში სრული სახით, ყველა ნიუანსით გადადის — დაწყებული უნაზესი სახეებით და დამთავრებული ისეთი სახეებით, სადაც ჩანჩქერთა ზარიანი ჭექა-ქუხილი მოისმის. ეს სრულიად არათანაზომადი სახეები პოეტის ლექსში ერთი მეორეს არა ჩრდილავენ, ისინი ჰარმონიულად არიან შერწყმულნი, ისე, როგორც ეს ბუნებაშია. პოეტი შეჰხარის, ერთის მხრივ, „შუქარი ვაზის ყვავილებს“ „დამდნარი თოვლის წკრიალს,“ თოვლის ფანტელებს, რომლებიც მიმინოსავან დაფეთებულ მტრედებივით მიფრინავენ, სწერს „ყნარი ბუნების მყუდროებაზე, — ეს უაღრესად უნაზესი სახეებია; ხოლო, მეორეს მხრივ, ფერო მძლავრად ისმის მის პოეზიაში აღფრთოვანება ყოველივე დიადის, ყოველივე ამრეული წინაშე, ეს არის მთავარი პათოსი მისი ლექსისა: თუ ის მთებზე სწერს — ჩვენ თვალწინ თავზე „თოვლვადახაყარი“ გოლიათები იმართებიან, სიიდანაც დაძრული ზვავთა ზრიალი ისმის, არწივები ზზეს ფრთებს უტყლაშუნებენ, ეს თვალგადაუწვდენელ ჰორიზონტებს სთელავენ. ყველა ეს სახე უხვად, უდარდელად და ხანდახან მეტისმეტი ხელგაშლილობითაა მიმობნეული მის ლექსებში.

გ. ლეონიძის პოეზიაში სჩანს მთლიანობაში შემეცნება ქვეყნისა, სჩანს უძლიერესი ექსპრესია და გაჭანება, ღრმად ჩაწყვდეა, რომელიც ფარდასა ხდის ამ ქვეყნიერ სილამაზეს, ბუნების იდუმალ მშვენებას, რომელიც მხოლოდ პოეტის ფანტაზიის შეხების შემდეგ იშლებიან მთელი სრულყოფილებით ჩვენს წინაშე და გვიტაცებენ. „თბილისის განთიადში“ განსაკუთრებით ნათლად სჩანს პოეტის ძლიერი ფრაზოსანება. აქ პოეტი, იხსენებს რა ძველი საქართველოს ადამიანებს — გრიგოლ ორბელიანსა და ეკატერინე ჭავჭავაძეს, თითქოს წუთიერად აუქმებს გარდასული დროის ნისლოვან სახეებს არაყოფნას. მაგრამ ლექსში მთავარია მაინც შეგრძნობა თბილისის განთიადისა. როგორც სიცოცხლისა და ქვეყნის გაღვიძებისა.

ლეონიძის პოეზიაში სჩანს ვაჟაკაცური პათოსი და რაღაც სტოიკურად მშორაგი ძალა. ეს არის პოეტი, რომელმაც ბუნების თემა ორგანიზულად დაუკავშირა ისტორიას, სამშობლოს წარსულისა და აწყოს თემას. ლექსში „დიდი კრწანისის ბალში“ პოეტი სწერს:

„ცისკრის შუქი გადეფფარა კრწანისს,
ქარაგანი ბორბალოდან მოდგა;
ეფეგბები გუმბათებს და მწვანილს,
ფეიქწენთა ოკანასკნელი მოდგამს.
და მეგალი არაგველი ხიდთან
მზოლად ერთი ლომპარი-და ბეუტაგს;
ერთ ადგილ ერთად ჩამოვარდა ხიდან
ჩიტისაგან დაკენილი თუთა.
მე ამ თუთის გაზზიდნი ვარ განა,
მისი სიტკბო ჩემს ძარღვებში
სწვეთავს,
დიდ მომეფრალს მე ვინ დამაგვანა,
ჩემი მიწა თუ არ მეეხა ფეთა?“.

ეს როდია უბრალო ფრაზა, ეს გაღლის სიღრმიდან ამომფხიერი ხალასი განცდაა. პოეტის უთქმელადაც, უამელეჭოდაც ისმის მკითხველს ლეონიძის ლექსში ძახილი სამშობლო მიწისა. ამ ხმას ვიცნობთ ჩვენ, როცა ვკითხულობთ „თუშის ქალს ალავერდობაში“, „იერის ღამეს“, „თბილისის ოსტატებს“ და სხვა ლექსებს.

პოეტს აქვს უაღრესად ნათელი შემეცნება ისტორიისა. ეს იგრძნობა ყველგან, სწერს პოეტი ქართლის ცხოვრებასა, ძველ პოეტებზე თუ ქაშუეთის თმახუშუმაჩუქურთმებზე. „მეცამეტე საუკუნეს“ და „წიგნი ქართლის ცხოვრება“ მეოთხველის თვალწინ წარსულის შემაძრწუნებელ სურათებს შლიან. ლეონიძის ლექსები სულხანსაბა ორბელიანის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველის შესახებ საქართველოს პოეტური მატიანეს ცალკე ფურცლებია, ეს არის ლექსები არა მარტო ჩვენი ლიტერატურის წარსულზე, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის წარსულზე.

პოეტმა დახატა წარსულის ჭეშმარიტი სურათები: მან გვიჩვენა რომ საქართველოს ისტორია მარტო მეფეთა ისტორია როდი, გვიჩვენა, რომ ამ ისტორიის შენობას უბრალო, მშრომელი ვლეტკაცის ძარღვენი ადებდა. მან გვიჩვენა „გუთნის ლერმი ნაშენი“. „ქალმეგობილი საქართველო“, უკვდავჰყო მშრომელი ქართველი ვლეხის დედაკაცის — ქართველის დედის სახე. ჩვენ ვლაპარაკობთ პოემა „ფორთოხალას“ შესახებ, სადაც პოეტი თითქოს პოლემიკას უმართავს თავის საყვარელ წიგნს, ქველთაგან სახელგანთქმულ მატიანეს — „ქართლის ცხოვრებას“, რომელსაც ეს სახე გამორჩა. პოემის დაწერის სამაბი მე-11 საუკუნის ბეგელ ყოფილა, სადაც მოხსენებულია ერთი ქართველი ქალი, სახელად ფორთოხალა, ეს ფონწი ქრონიკა ლეონიძემ საუცხოვო პოემად გაშალა. პოემაში ავტორი მიმართავს ქართველის დედას:

„ფორთოხალავ, ჩემო დედავ,
დაგეფიქნა მე შენს სიფლიკს,
შენს ცხოვრებას უმეცნიერს
სულ მშვიდს და გალთაფლავს.
მეშინოდა შენი ძვლები
დაგიწყლებამ არ გათელოს;
შენ ხომ ქოთანსა ფუფუტებდი
პურს უცხობდი სამეთაველს.
ათასი წლის მანძილიდან
შეელეო ალერსს გაგიბრდავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას
შენა ჰქმნიდი ტკბილო ლეკვად!
ფიდ ვიაკაცებს, დიდ ოსტატებს
ნაბი კაბის ალალა ზრდიდა,
ვინც ეტიტაკენ სწერდა ქართულს.
ეინც ჩარპართმას ქეიზე სპრიდა.
საქართველოს ალრის ცეცხლი
ენა გებარა გაუვჭიალი,
შენ ფაყავი გულეიფხეური
ხამის კაბით გლეხის ქალი.
შენი ოფლის ნაღვარალი
ფიეიანდლარამდის არ ამშრალა,
ყველგან ენახე, დამიეთი
მე სამშობლოს ბაღი და შარა.
მაგრამ „ქართველის ცხოვრებაში“
ვერა ენახე შენი სახე,
არაფერი არ სწერია
შენს ლეგენდაზე და შენ შესახებ.
შენ ვეკვეთ ფარაფელ, ფიანენი ხელს
შენი ოფლით ფარნენ ფარნენ ბიეს
ეს ოფლით ეარნენ ეარნენ ბიეს
შენ ბაგ ბამბელ მე ბიგეოენ
ბიეს ბიეს ბიეს ბიეს ბიეს
ბიეს ბიეს ბიეს ბიეს ბიეს
ბიეს ბიეს ბიეს ბიეს ბიეს

მარიამ საფარო-აბაშიძე

დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო

ქების არც ერთი ეპიტეტი, აღტაცების არც ერთი შეძახილი არ დარჩენილა, რომ მის სახელს მოკრძალებულით გვერდით არ ამოსდგომოდეს. ყოველი მისი გამოჩენა სცენაზე დიდი ხელოვნის ბილთით გამშვენებული სახალხო სიხარული იყო. ხალხი ალტაკებით ხვდებოდა სცენაზე მის ყოველ გამოსვლას, სიყვარულით მიაჯილებდა სცენიდან მის ყოველ გასვლას, რადგან ყოველ მის მაღალნიჭიერ მხატვრულ სიტყვაში ნახულობდა რწმენას საკუთარ თავისადმი, საკუთარ შემოქმედებისადმი, იმედს მომავალისადმი.

მარიამ მიხეილის ასულის საფარო-აბაშიძის ფენომენალური ნიჭი და განსაცვიფრებელი ოსტატობა ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას. კაცობრობის მოწრფილე ადამიანთა გულის ნადები, მათი მაღალი აზრი და წმინდა გრძნობა მან ხალხში გაიტანა, ხალხს გაუზიარა. ის, რაც ზნირად მწერალმა სიცხოველით ერა სთქვა, ხალხისათვის მიუწვდომელი და გაუგებარი დარჩა, ამ დიდმა მსახიობმა თავისი საოცარი განსმახიერებელი ძალით ყველასათვის ნათელი და ხელშესახები გახადა. რა საც კი მისი სასწაულთმოქმედი ნიჭი და ოსტატობა გაეკარა, უაზრო ფოდე

ახალი წიგნები

„მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი"

ჟურნალ „ბოლშევიკმა" ეხლახან გამოსცა ქართულ ენაზე „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი". როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „ეს მოკლე „ფილოსოფიური ლექსიკონი" მიზნად ისახავს—დახმარება გაუწიოს იმათ, ვინც სწავლობს ბოლშევიკურ პარტიის თეორიულ საფუძვლებს — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას". „ლექსიკონი" განმარტავს იმ ძირითად ფილოსოფიურ ცნებებს, რომლებიც ზშირად გვხვდებიან მარქსისტ-ლენინზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში.

„მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონის" ქართული გამოცემის რედაქტორები არიან **ი. თავაძე** და **ა. ჭუთელია.**

წიგნი შეიცავს 314 გვერდს და ღირს 6 მანეთად.

Ბ. ლეონიძის პოემა „სპარტაკის ბავშვობა და ყრმობა" რუსულ ენაზე

ცნობილმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა ეხლახან დაასრულა თარგმნა რუსულ ენაზე გიორგი ლეონიძის პოემის **„სტალინის** ბავშვობა და ყრმობა". თარგმნილია დაახლოებით 4.000 სტრიქონი.

პოემის უკანასკნელი თავები მოკლე ხანში რუსულ ენაზე დაიბეჭდება ჟურნალ „ზვეზდაში". მთლიანად ამ პოემას რუსულ ენაზე გამოსცემს „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობა.

„ვეფხის - ყაყაჩანი" ყირგიზულ ენაზე

ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ყირგიზულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი". პოემა სთარგმნა ორდენოსანმა პოეტმა ალიკულ ოსმანოვმა.

გრ. აბაშიძე „ზამთრის ამბავი"

სალიტერატურო გამომცემლობა გრ. აბაშიძის სამბავშვო პოემა „ზამთრის ამბავი". პოემა დასურათებულია ვ. ერისთავის მიერ.

წიგნი შეიცავს 26 გვერდს და ღირს 3 მანეთად.

ა. ფურცელაძის „ჩრეული თხზულებანი"

სახელიტგამმა გამოსცა ანტონ ფურცელაძის „ჩრეული თხზულებანი", რომელშიც მოთავსებულია პოემები „მარაბდა", და „წყალობა", მოთხრობა „დავით ასლანიშვილი ჯანდიერი". კრებულს დართული აქვს აგრეთვე ა. ფურცელაძის მოკლე ბიოგრაფია.

წიგნი შეიცავს 72 გვერდს და ღირს 3 მანეთად.

„ბამოცანები"

სახელიტგამმა გამოსცა „გამოცანები". მასალა შეკრებილია ქს. სიხარულიძის მიერ, დასურათებული ტ. ეკიბიას მიერ.

წიგნი ღირს 1 მან. 50 კაპ.

„ჩვენი დროის გმირები"

კალე ბობობიძემ დაამთავრა პოემა „ჩვენი დროის გმირები". პოემა ასახავს ჭიათურის მაღაროების სტახანოვური ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებას.

ანაგზო ფრანსის კომედია ქართულ ენაზე

ი. მაჯავარიანმა სთარგმნა ფრანგულით ანატოლ ფრანსის ორ-მოქმედებიანი პიესა „კომედია იმ უბედურისა, რომელმაც მუნჯი ქალი შეირთო". თარგმანი სარეპერტუარო კომიტეტს გადაეცა.

„ჩვენი თაობა"

გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი თაობის" მერვე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები —მიხ. ოქროპირიძე—ვეფას ცხრამლები (ლექსი), ალ. შენგელია—ცაზე ჰკიდია ერთი ლოუბელი (ლექსი), კ. ხიმშიაშვილი—ჯონქა ხორნაული (რომანი, გაგრძელება), ივ. შაიშმელაშვილი—ქარიშმალი თბილისში (პოემა), შ. იოსელიანი —ლიმონი. (ლექსი), ალ. ქუთათელი—მკვდრის მზე (ნაწყვეტი რომანი „პირისპირ" მესამე წიგნიდან), ი. ნონიშვილი — უსახელო ყვავილი (ლექსი), შალვა გოზალიშვილი—ვეფა ფშაველს „სად არის პოეზია" და „რომეო-რუთი", იაკობ ბალახაშვილი „ბრიბოდოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე" (მონოგრაფიის დასაწყისი).

ჟურნალი შეიცავს 64 გვერდს.

ლევ ტოლსტოის თხზულებათა აკადემიური გამოცემა

ნოემბერში სრულდება ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავი. ამ თარიღისათვის დასაბეჭდად გადაცემულია დიდი რუსი მწერლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის მე-13 და მე-35 ტომი. გამოცემაზე მუშაობის პროცესში ტოლსტოის ბევრი ხელნაწერი აღმოჩნდა. ეს სპეციალის აღმოცენა გამოიცეს გულდასმით შემოწმებული ტექსტი, რომელიც გაწმენდილი იქნება ცენზურული და საგამომცემლო დამახინჯებისაგან.

მე-13 ტომში მოთავსებულია რომანის „ომისა და მშვიდობის" ვარიანტები, რომლებიც წინათ არასოდეს არ ყოფილა გამოქვეყნებული. კერძოდ, მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ბოროდინოს ბრძოლის მთელი რიგი უცნობი სცენები და ნატაშა როსტოვას დამატებითი დახასიათება.

„ჰაჯი მურადის" გამოცემაში, რაც ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს გამოქვეყნდა, მე-12 თავი არ ყოფილა. მის ნაცვლად იყო წერტილები, რომელთაც რამდენიმე სტრიქონი ეკერათ, ახლა, როცა „ჰაჯი მურადის" შავად შედგენილი ყველა ხელნაწერი შეგროვებულ იქნა, ეს თავი მთლიანად აღდგენილია. იგი ნიკოლოს პირველის დახასიათებას შეიცავს და მეფის ცენზურის მიერ ამოგდებულ იქნა. მოთხრობა თავისი პირვანდელი სახით მე-35 ტომში მოთავსდება.

აღმოჩენილ იქნა რომან „აღდგომის" ახალი ფურცლებიც. 32 და 33 ტომებში ტოლსტოი გვიხატავს იმ დროს ოარიბ გლეხობას, მის ჩაგვრას მემამულეთა მხრივ, მოჰყავს სპატიმროს ეკლესიაში შესრულებული წირვის სცენა, რომელიც მეფის ცენზურამ მთლიანად ამოაგდო.

აკადემიური გამოცემის მეცამეტე ტომი შეიცავს მწერლის დღიურებსა და ჩანაწერებს. მე-31 ტომში გამოქვეყნდება ტოლსტოის მიწერ-მოწერა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან და მწერლებთან.

გამოცემა გამოდის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

მთელი აკადემიური გამოცემა ნავარაუდევია 89 ტომად. ამაში არ შევა იქნეს დამატებითი ტომი. ეს დამატებითი ტომები შეიცავენ გამოცემის მაჩვენებლებსა და იმ მასალას, რომელიც ლ. ტოლსტოის სარედაქციო მუშაობის ახასიათებს. გამოცემულია 39 ტომი, მათ შორის ოთხი ტომი შეიცავს რომანს „ომსა და მშვიდობას".

ბიბლიოგრაფია

რაჟდენ გვეფაძის მოთხრობები

რაჟდენ გვეტაძის მოთხრობები „თეო" და „ჭიაკოკონა" უკვე რამდენჯერმე დაიბეჭდა. მათ ინტერესით კითხულობენ. სწორედ ამიტომ გამოსცა იგი კვლავ ეხლახან სალიტერატურამ სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში.

„თეოფთ" და „ჭიაკოკონათ" დაშორდა უმთავრესად რ. გვეტაძე თავის ადრინდელ ლიტერატურულ-შემოქმედებითს გზას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სიმბოლისტური მსოფლშეგრძნობა. თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში რ. გვეტაძე რეალისტური პოზიციებისათვის მებრძოლ მწერლად გვევლინება.

„თეოში" საკმაოდ ფართოდ არის ასახული რთული საზოგადოებრივი ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისა. მოთხრობის თემად აღებულია სამი პერიოდი: თვითმპყრობელობის არსებობის უკანასკნელი წლები, თებერვლის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

დიდი მემამულე იყო თავადი ყაფლანი. მას ეკუთვნოდა ბორჯომის ხეობის ნახევარი. მას წვეულება ჰქონდა ყოველდღე. ღლეს ადამიანად არ სთვლიდა, მხეცურად ეპყრობოდა.

მოთხრობაში ნაჩვენებია გლეხობის მძიმე ცხოვრება. ყაფლანს მოჯამაგირედ ჰყავდა აკარი მირზა. იგი რევოლუციურ მუშაობაში ებმება. თანდათან იზრდება მასში რევოლუციური შეგნება. მოხდა რევოლუცია 1917 წ. თებერვალში. ეს ამბავი ყაფლანმა ნადირობიდან დაბრუნებისას გიგო ბოლოხანისგან.

რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. ხალხს მოფლატე მენშევიკები გამოეთიშნენ რევოლუციას და მოკალათდნენ საქართველოში. მენშევიკების ბატონობას არავითარი ზიანი არ მოუტანია მემამულეებისათვის. „ტყუილი გამოდგა ყაფლანს შიში, მისი ყოფილი ცხოვრება ოდნავადაც არ შერყეულა". მოთხრობაში მძაფრად არის წარმოდგენილი მენშევიკური დროის თბილისის სახე: იმპერიალისტური ინტერვენტების თავაშვებულობა, გვარდიელების პარპაში, რუსეთიდან გამოქცეული ემიგრანტების დაუსრულებელი ქეიფი, ჩხუბი დამფუძნებელ კრებაში იმის შესახებ, თუ ვინ რით სვამს ღვინოს და სხვა. ამავე დროს მშრომელი ხალხი საშინელ პირობებში იყო ჩაყენებული. ხალხი შიმშილობდა და იტანჯებოდა. მირზა, რომელიც ბოლშევიკურ არალეგალურ მუშაობას აწარმოებდა, დაიჭიერეს და გადაასახლეს მენშევიკებმა.

1921 წელს საქართველოში დაიცა მენშევიკების ბატონობა. ყაფლანი და თეო, რომლებიც ამ ხანებში ქალაქში სტუმრობდნენ, გაეშურნენ სოფლისაკენ. სახლის კარები დალუქული დახვდათ. ღამე ხის ქვეშ გაათენეს. საბჭოთა სოფელმა არ მიიღო ყაფლანი. ისევ ქალაქს მიაშურა. აქ ის და თეო დაბინავდენ ავლაბარში, სადღაც სარდაფში. მათ ცხოვრება მეტად გაუძნელდათ.

მირზა ყაფლანის ყოფილი მოჯამაგირე აჭარაში გაგზავნეს პარტიამ საპასუხოსმგებლო საქმეზე. ერთხელ იგი თბილისში ხვდება თეოს. მათ შორის იფეთქა სიყვარულის გრძნობამ. ყაფლანი ამის წინააღმდეგია: „თეოს ზეარაკეთი დაგქლავ და ჩემს სამოჯამაგირალს არ გავატანო", — გაიძახის იგი. დარჩა ყაფლანი გარიყული. დაიწყო მათხოვრობა. შემდეგ ბალდაზინის გამყოლის დგილი იშოვნა, ღამე ბალდახინის ყუთში იძინებდა. მის მამულში კი მოეწყო კოლექტივი.

„თეოს" ჩვეულებრივი მხატვრული ფორმა სასაუბრო-აღწერითია, ფართოდ განვითარებული დიალოგებით, რომელიც ხშირად სცვლის პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დახასიათებასაც.

რ. გვეტაძის მეორე მოთხრობა —„ჭიაკოკონა" თითქმის იმავე წლების ვითარებას ეხება, რასაც „თეო". ნაწარმოები იწყება იმპერიალისტური ომის პერიოდის სურათების წარმოდგენით.—ორ ძმას —თეოფილესა და ხოსროს შორის კონფლიქტია. შემდეგ მას მოჰყვება რევოლუციის დროის მოვლენების მხატვრული აღწერა. მწერალი გვიჩვენებს თუ როგორ არ ინდობს კერძო მესაკუთრეული ფსიქოლოგია ძმებსაც კი. ძმები თეოფილე და ხოსრო ნაწარმოებში გამოყვანილი არიან როგორც სხვადასხვა კლასობრივი მდგომარეობის და სულისკვეთების ადამიანები. ისინი ძმები არიან, მაგრამ სოციალურად ერთმანეთის მოწინააღმდეგენი. პირველი ღარიბი გლეხია, ტყიბულის მაღაროებში მუშაობით დასაზიარებული, მეორე ჩარჩ-ვაჭარი, მტაცებელი, რომელიც საკუთარ ძმასაც არ ზოგავს.

მოთხრობაში მრავალი კოლორიტული დეტალი, რომლებიც მკვეთრად წარმოგვიდგენენ ძველ სოფელს და მის დამახასიათებელ მოვლენებს.

„ჭიაკოკონაში" რეალისტური სიმძაფრით არის მოცემული ბურჟუაზიულ-მენშევიკური წყობილება. ეს დამახასიათებელი ტიპები ოქროპირის და სხვათა სახით. მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ გაასპარეზა იმპერიალისტურმა ომმა სოფელი, როგორ თავიშვებულად და ეერაგულად მოქმედნენ გაიძვერა მენშევიკები საქართველოში. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ვერ ურიგდებიან მენშევიკების თავაშვებულ მოქმედებას და ამ ნიადაგზე ხდება მრავალი შეტაკება. ისტორიულად ცნობილია, რომ მთელი სამი წლის განმავლობაში საქართველოში გაამფორებული ბრძოლა წარამოდგა მენშევიკების ხელისუფლების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის (მუშთა გაფოსტვები, გლეხთა აჯანყებები და სხვ.). ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. „ჭიაკოკონაში" ავტორს აღებული აქვს ამ ბრძოლის ერთი მომენტი, თუმცა იგი ვერ წარმოგვიდგინა ტიპიურ ხაზებში. მორჩაძე არ გამოდგება რევოლუციური ბრძოლის დამახასიათებელ წარმომდგენლად.

„ჭიაკოკონაში" დიდი ადგილი აქვს დათმობილი რომანტიულ-სასიყვარულო ისტორიას. ადამიანთა ურთიერთობის ეს მხარე მხატვრული დამაჯერებლობით აქვს წარმოდგენილი ავტორს. რაჟდენ გვეტაძეს ეხერხება ფაბულის კარგად განვითარება და გმირის ირგვლივ საინტერესო კოლიზიის შექმნა. ოღონდ მწერალი უნდა ერიდოს ერთსადაიმავე ნაწარმოებში სტილთა აღრევას.

რაჟდენ გვეტაძის „თეო" და „ჭიაკოკონა" თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენის წარმოადგენენ თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

დ. ნათელაძე

შიღეგის ლექსები ქართულ ენაზე

ფრიდრიხ შილერი მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. თავისი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებებით იგი გამოდიოდა პროგრესიული იდეების მქადაგებლად, ილაშქრებდა ფეოდალური მონობისა და ტირანიის წინააღმდეგ. გოეთესთან ერთად მან გერმანული ლიტერატურა გამოიყვანა განვითარების დიდ შარავაზზე. თავის ცნობილ დრამატიულ ნაწარმოებებში: „ყაჩაღები", „ფიესკოს შეთქმულება", „ნეერაგობა და სიყვარული" შილერი აყენებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აუცილებლობის პრობლემას. მართალია, შილერი ბოლომდე ვერ შეჩრა ბრძოლის ამ გზას, შემდეგში მასში თანდათან გაძლიერდა შემარიგებლობის ტენდენციები. რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მას შემოქმედებითს პრაქტიკაშიც („დონ კარლოსი" და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დრამატიულ ნაწარმოებთა მნიშვნელობა დიდია. ისინი დღესაც ითარგმნებიან სხვადასხვა ენაზე და იდგმებიან მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის თეატრის სცენაზე.

შილერი განსაკუთრებით ცნობილია თავისი დრამატიული ნაწარმოებებით. მისი ლექსები შედარებით ნაკლებად არის ცნობილი, თუმცა ეს ლექსები თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენენ არა მარტო გერმანულ, არამედ მსოფლიო პოეზიაში. ჩვენშიც, საქართველოშიც, შილერს კარგად იცნობენ, როგორც დრამატიოგს. მისი პიესები არა ერთხელ დადგმულა ქართულ სცენაზე ძველად და ახლა. სამაგიეროდ იგი სრულიად უცნობია ჩვენში როგორც პოეტი. ამიტომ ფრიად მისასალმებელია გამომცემლობის „ფედერაციის" ინიციატივა, რომ მან ქართველ საბჭოთა მკითხველს მიაწოდა პოეტ ხარტინ ვარდომიელის მიერ თარგმნილი შილერის რჩეულ ლექსთა კრებული.

შილერმა გერმანულ ლიტერატურაში ფილოსოფიური ლირიკის ჟანრი შეიტანა. ეს გარემოება თავისებურ ხასიათს აძლევს მის ლექსებს. შილერის მრავალი ლექსი გაშიფრავს მოითხოვს. მზოლოდ დახლოვნებულ და მომზადებულ მკითხველს შეუძლიან გიგოოს ამ ლექსების აზრი. ავიღოთ ისეთი ლექსი, როგორიცაა „სიყვარულის ხეიმი". მეორე სტროფის ორი უკანასკნელი სტრიქონი შემდეგ სიტყვებს შეიცავს: „ს